# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველდღიური გამოცემა. — ოთხშაბათი, 31 მაისი 1900 წ. № 1139

**გაზეთი ღირს:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის" და „ცნობის ფურცლის" რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"—„Моамбе".

ტელეფონი № 372.



საუკეთესოდ მოწყობილი

სტამბა

წიგნების გამომც. ქართველთა ამხ—ბისა

იღებს ყოველგვარ

სასტამბო საქმეებს

სტამბა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლში


რადგანაც 28 მაისს დანიშნული

**წლიური საერთო კრება**

**„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების"** წევრთა არ შესდგა, საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო, ამიტომ, საზოგადოების მე-15 § ის თანახმად, კრება ხელ-მეორედ დანიშნულია 4 ივნისისათვის, დილის 11 საათზე, ტფილისის სათავად-აზნაურო დარბაზში.

განსახილველია შემდეგი საგნები: 1) წლიური ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა 1899 წლისა. 2) მოხსენება სარევიზიო კომისიისა ამ ანგარიშის შესახებ 3) სავარაუდო აღრიცხვა შემოსავალ-გასავალისა 1900 წლისათვის 4) არჩევანი საზოგადოების ახალის წევრებისა. (ნ. 1—1)

## ახალი ამბავი

— გუშინ-წინ ტფილისში გავრცელდა სამწუხარო ხმა, რომ თავ. **ილია ჭავჭავაძე**, რომელიც ამ ჟამად, ექიმების რჩევით, სოფელ საგურამოშია, ძალიან ცუდად შეიქმნა. საგურამოს მაშინვე წავიდნენ ექიმები და ბევრი პატივისმცემელი ილიასი. გუშინ საგურამოდან ცნობა მოვიდა, რომ ილია ისევ კარგად შექმნილა. ექიმები საზღვარ-გარედ ურჩევენ მას წასვლას.

— სახალხო სეირნობამ ბაზრითურთ, გამართულმა კვირასა და ორშაბათს **წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ**, მშვენივრად **ჩაიარა**. მოგება კარგი დარჩა.

— საერო განათლების სამინისტროს უკვე დაუმზადებია **პროექტი სახალხო მასწავლებელთა პენსიების შესახებ**. პროექტით, პენსია ეძლევა იმ მასწავლებელთ, რომელნიც 25 წელიწადს მსახურობენ. ვადა ითვლება პროექტის დამტკიცებიდან, ასე რომ მასწავლებელთ უკვე ნამსახური დრო არ ჩაეთვლებათ.

— ტფილისის გუბერნატორმა აცნობა კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას, რომ ახალქალაქის მაზრაში ყანებში გაჩენილა ერთგვარი ქია, რომელსაც სახელად ეწოდება ჰოტენტოტური ბაღლინჯო. ეს ქია **მალიან მავნებელია პურისათვის** და ამიტომ გუბერნატორი თხოულობს—ეხლავ გამოკვლეულ იქმნას, რა მიზეზია ქიის გაჩენისა და რა ზომები უნდა იქმნას მიღებული მის მოსპობისათვის.

— ტფილისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა გამგემ აცნობა კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას, რომ ამ ზაფხულს ხარკოვში გაიმართება **საბაღოსნო გამოფენა** და სასურველია კავკასიის მებაღეებმაც მიიღონ მონაწილეობა გამოფენაში.

— ამ ზაფხულზე **საბაღოსნო გამოფენებს** ჰმართავს აგრეთვე რუსეთის საბაღოსნო საზოგადოების კავკასიის განყოფილება ქ.ქ. ბათუმსა და ბაქოში. ამ მოკლე ხანში შესდგება გამოფენის გამმართავი კომიტეტები.

— როგორც გადმოგვცეს, ორის წლის წინად დაარსებული ამიერ კავკასიის ფარმაცევტთა **სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე ამხანაგობა** ფირმით „პროვიზორი ილია სოლომონის ძე ალიხანოვი და ამხ." უკვე შესდგა და მალე დაიწყებს მოქმედებას. ამხანაგობას აზრად აქვს აწარმოოს სააფთიაქო საქონლით ვაჭრობა და კარგის თვისების და ხელსაყრელ პირობებით მიაწოდოს საჭირო წამლები და სხვა-და-სხვა საოჯახო საქონელი ამხანაგთ, მეაფთიაქეთ, აფთიაქების მაღაზიების პატრონთ და აგრეთვე კერძო პირთ. ამ მიზნის განსახორციელებლად ამხანაგობა აარსებს ტფილისში წამლების საწყობს და პროვინციაში მის განყოფილებებს. ამხანაგობის პაი 50 მან. ღირს.

— **ტფილისის სასულიერო სემინარიაში** გამოცდა დამთავრდა 27 ამ თვეს. კურსი დაამთავრა 56 ყმაწვილმა კაცმა; მათ შორის 44 ქართველია, 8 რუსი, 1 ოსი და 3 ბერძენი. აი ამათი გვარი და სახელი:

ანთაძე ალექსანდრე, ანდრიევსკი ივანე, ახმეტელაშვილი, ივანე, ბარბაქაძე სიმონი, ბოგოტარიოვი ვლად. გვასალია მიხეილ, გლაგოლევი ივანე, გოგიაშვილი პოლ., გოროდისკი ვლადიმირ, გლებოვსკი თედო, დეკომენსტორ, ჯავახიშვილი გიორგი, დოლიძე გიორგი, ირემაშვილი იოსები, კასრაძე ვლადიმერ, გეგელიძე კორნელი, კანდელაკი კენიამინ, ქორიძე ირაკლი, კუბალოვი ივანე, კარბელაშვილი ფილიმონი, ლაფერაშვილი თეოფილე, ლიაძე სამსონ, მეღვინე იასონ, მოისწრაფეშვილი პავლე, მაჭარაშვილი კოტე მეუდლიშვილი სამსონ, მეგრელიშვილი თომა, მესხიაძე ილია, მიხაილოვი კოტე. მურახოვსკი გრიგოლი, ნატროშვილი სიმონ, ნასყიდაშვილი გრიგოლი, ნაკაშოვი ალექსანდრე, ფანცხავა დიომიდე, ფხაკაძე მიხეილ., სირბილაძე ერმოლოზ, სონაძე გიორგი, სეფაშვილი რომანოზ, სტარიკოვი კასიან, სახტაროვი ხარლამპი., ოზანაშვა ევგენი, ობრაზცოვი კოტე, ხახანაშვილი კასიან, ხვადაგიძე ზაქარია, ზაზაშვილი ივანე, ტორომელიძე სამსონ, თხინვალელი ქეტო, თაყაიშვილი კოტე, ციბალაშვილი გიორგი, ცაგარელი კოტე, ცინცაძე თედო, ჩხიკვიშვილი გიორგი, ჩუკურაშვილი ისაკი, შუბლაძე ილია, შავარდენაძე იოსებ, ელისბარაშვილი მიხა.

— სოხუმიდან გვატყობინებენ, რომ 19 მაისს ღამით მკრეხელთ გაუტეხნიათ იქაური **საკრებულო ტაძარი**. ფულად სამი მანეთი წაუღიათ. ეკკლესიასთან უპოვნიათ ქალის მოგვის ბოხჩები, ბზისა და რკინის ჯოხები და ერთი ფლანელის პერანგი, რომლებიც, ალბად, მკრეხელთ დარჩათ. გამოძიება სწარმოებს.

— „ქუთაისის გუბერნიის უწყებებში" დაბეჭდილია შემდეგი: „პოლკოვნიკი ალიხანოვი, გამოგზავნილი მთავრობისაგან, რათა მიიღოს საჩქარო ზომები ქიათურაში და მის მიდამოებში გაჩენილ სენის მოსასპობლად, ამით აცხადებს ყველა მარგანეცის მწარმოებელთ, სახლის პატრონთ, მოვაჭრეთ, ყველა თავლების პატრონებს და მოიჯარადრეთ, რომლებიც კი ქიათურაში არიან—შესასრულებლად შემდეგს:

1) ექიმთა საპჭომ და ადგილობრივმა სასანიტარო კომისიამ უმთავრესს მიზეზათ საშიშ სენის გავრცელებისა ქიათურაში სცნო აუარებელი თავლები, რომლებითაც სავსეა მთელი სოფელი, საბაზრო მოედანი და მდ. ყვირილის ნაპირები და რომლებიც საშინლად უსუფთაოდ ინახებიან. უსუფთაობის მიზეზი კი ის არის, რომ ამ ერთი ბეწო ადგილზე მოთავსებულია 15 ათასი ცხენი, ვირი და მუშა ხალხი,—ყველა ეს ისეთის წარმოუდგენელ უსუფთაობაში და ანტისანიტარულ მდგომარეობაშია, რომ კაცის ჩვეულს არ ძალუძს აიტანოს ასეთი უსუფთაობა.

ამიტომ საჭიროდ დაინახეს დაქცეულ იქმნას ყველა თავლები და გასუფთავებულ, სავაჭრო მოედანი და მდ. ყვირილის ნაპირები.

2) თავლების სხვა ადგილას გადასატანად მიეცემათ პატრონთ ამა 17 მაისიდან ორი კვირის ვადა.

3) ამ ვადის შემდეგ თავლების დ ანგრევას შეუდგება პოლიცია.

4) გადატანილ უნდა იქმნას თავლები მარკანეცის მადნების სიახლოვეს, სოფლიდან და მდინარის ნაპირებიდან მოშორებით. ყველა თავლებში ძველებშიაც და ახლად აშენებულშიაც იატაკი უნდა მოიკირწყლოს ქვით ან დაიგოს ფიცრით. მუშათა საცხოვრები ოთახები ცალკე უნდა გაიმართოს, თავლების ახლოს.

5) თაელის გადადგმისათვის ადგილი უნდა აჩვენოს ყოველს შემთხვევაში სასანიტარო აღმასრულებელმა კომისსიამ.

6) ყოველს თაელაზე და საცხოვრებ ოთახზე უნდა მიკრული იყოს ფიცარი წარწერით, რამდენს სულს დაიტევს სადგომი.

7) აღეკრძალებათ აგრეთვე ამ ვადის განვლის შემდეგ შენახვა ცხენებისა ამ თავლებში, რომლებიც დუქნებთანა და სხვა სავაჭრო სახლებთან ახლოს არიან. დამნაშავენი სასტიკად იქმნებიან დასჯილნი.

8) ეს განცხადება წაკითხულ იქმნება სავაჭრო მოედანზე და ამის შემდეგ აღარავის აქვს ნება თქვას—არ გამიგია განკარგულება.

9) ამით გამოეცხადებათ ჭიათურის სახლის-პატრონთ მოვაჭრეთ, რომ, განსაკუთრებულ პირობათა გამო, სასტიკად იქმნებიან დასჯილნი, ვინც დაარღვევს წესებს სისუფთავისა და ჰიგიენურ მოთხოვნილებათა შესახებ და ვინც გაჰყიდის უვარგის სანოვაგეს.

10) თუ ავად გახდა ვინმე სახლებში ან თავლებში, პატრონებმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ ბოქაულს ან ადგილობრივ ქსენონის ექიმს. გარდაცვალებულის დასასაფლავებლად, მშობლებმა ან ნათესავებმა მიცვალებულისა უნდა აიღონ ნებართვა ექიმის ან პოლიციისაგან.

11) აგრეთვე ეცხადებათ მარგანეცის მწარმოებელთ, რათა მათ მიიღონ ზომები სამთო წესდების დასაცველად, განსაკუთრებით დასაცველად 1 პარ. 166 მუხ., რომლის თანახმად ა) მწარმოებელთ უნდა ჰქონდეთ გამართული სადგომები მუშათათვის, ბ) მუშები არ უნდა ატარებდნენ ღამეს მადნებში და გ) არ უნდა იგზავნებოდნენ მადნებში სამუშაოდ ავადმყოფი მუშები და დაშავებული და დაღლილი საქონელი.

დასასრულ გავახსენებთ მთავრობის განკარგულებას, გამოცხადებულს 27 ნოემბრის 1899 წლისას, რომლის თანახმად მწარმოებელთ უნდა იზრუნონ იმ მუშათა თავშესაფარის აშენებისათვის, რომელთა ბინა სამი ვერსის სიშორეზეა მადნებიდან. ვინც ამ განკარგულების თანახმად არ მოიქცევა, იგი სამართალში იქმნება მიცემული“.

✦ სოხუმში 22 მაისს მოვიდა ქუთაისის ოლქის სამჰართველოს სესია ბოგოროდცკის თავმჯდომარეობით. ამ სესიაში უნდა გაირჩეს, სხვათა შორის, ცნობილი **საქმე** გუდაუთის ნაწილის უფროსად ნამყოფის პორუჩიკის ბ. **ჩოქაჯანისა**, რომელიც 1898 წელს დასჭრეს დ. გუდაუთაში. მოწმედ დაბარებულია 29 კაცი. დამნაშავეთ იცავენ ნაფიც ვექილის თანაშემწე ანტ. გელაზარაშვილი, კერძო ვექილი გრ. გეორგაძე და მიხ. ანთალავა.

✦ **მამადავითის მთაზე** დიდი მოედანი, რომელზედაც აგარაკი უნდა გაშენდეს, უკვე დაყოფილია ნაჭერ-ნაჭერ, რომელთაგან ბევრი კიდეც გაიყიდა. მყიდველები უმეტეს ნაწილად მოხელენი არიან.

✦ ტფილისის სახაზინო პალატაში და აგრეთვე ტფილისის გუბერნიის ყველა ხაზინებში 1-ლ ივნისიდან 1-ლ ენკენისთვემდე მუშაობა იქნება დილის 8 საათიდან; ფულების მიღება დასრულდება 12 საათზე, გაცემა 1-ლ საათზე.

## ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა კრება

21-ს მაისს მოხდა სოფ. კუხში მეაბრეშუმეთა ამხანაგობის წლიური კრება. ეს მეხუთე წლიური კრებაა ამხანაგობისა. ამ ჟამად ამხანაგობას ჰყავს სულ 1750 წევრი მწარმოებელი და არა მწარმოებელი· როგორც ანგარიშიდან სჩანს 1899 წლის 1 მარტისათვის იყო წილის ფული—19,782 მან. 59 კაპ.; სათადარიგო თანხა 1,342 მან. ძირის თანხა 1,342 მან., გადასატანი ფული 1,431 მან. 55 კაპ.; სესხი 429 მან, 55 კაპ. წმინდა მოგება 4,190 მან. 97 კაპ., სულ 28,518 მან. 66 კ.; აქედან ნაღდ ფულად 6,247 მან. 97 კაპ., კერძო პირის ანგარიშზე 2,556 მან. 80 კაპ.; საქსოვის ანგარიშზე—2.572 მან. 40 კაპ. ძაფის ანგარიშზე 787 მან. 94 კაპ., ქსოვილების ანგარიშზე 3,739 მ. 92 კაპ., პარკის—67 მან 75 კაპ.; ქონების ანგარიშზე—12,545 მან. 88 კაპ. სულ 28,518 მან. 66 კაპ.; 1899 წლის განმავლობაში შემოსულა წილის ფულის ანგარიშიდან—4,109 მან. 78 კაპ.; პარკის ფულის ანგარიშიდან—120,330 მ. 93 კაპ, თესლის (გრენის) 23,700 მან. 40 კაპ., სესხის—88,222 მან. 37 კაპ.; კერძო პირთა 42,347 მ. 18 კაპ., ქსოვილის 5,486 მან. 14 კაპ., სათადარიგო თანხის 419 მან; გადასატანი ფულის 7,328 მან. 98 კაპ.; ქონების 1,411 მან.; სადურგლოს—112 მან. 98 კაპ.; ფულის სარგებლის 225 მან. 50 კ., სხვა და-სხვა შემოსავალი—179 მან. 89 კაპ., სულ 304.050 მან 17 კ.. ამავე წელიწადს გავიდა: წილის ფულის ანგარიშში—32 მან. 55 კაპ., პარკის 103,663 მან. 27 კაპ. თესლის (გრენის) 21,586 მან. 83 კ; სესხის—73,616 მან. 99 კაპ.; კერძო პირთა 43,443 მან. 28 კ., ქსოვილების—5,347 მან. 25 კაპ.; ძაფის 4,590 მან. 44 კაპ.; ძაფის ამოსახვევი ქარხნის 1,194 მ. 51 მ. ქსოვის ქარხნის—4,085 მ. 61 კაპ. გადასატანი ფულის—6,763 მან. 35 კაპ. ქონების—4,828 მან. 55 კაპ., სამმართველოს ხარჯი—5,576 მან. 07 კაპ.; სადურგლოს—112 მან. 98 კ.; ფულის სარგებელის—5,972 მან. 67 კ. დივიდენდის—2,403 მან. 05 კაპ.; აღებ-მიცემობის—838 მან., სხვა-და-სხვა 91 მ. 30 კაპ. სულ სრული ჯამი გასავლისა იქნება 284,146 მან. 70 კაპ.. 1900 წლის 1-ლ მარტისათვის არის: წილის ფული—23.859 მან. 82 კ., სათადარიგო თანხა—1,761 მან, ძირის თანხა—1,761 მან., გადასატანი ფული—1,997 მ. 18 კაპ., სესხი—15,034 მან., 93 კაპ., წმინდა მოგება 9,064 მ. 17 კაპ., სულ—52,478 მან. 10 კაპ., ნაღდ ფულად—26,151 მან., 44 კაპ., კერძო პირებზე—3,652 მან. 90 კაპ., საქსოვზე—806 მან. 87 კ., ძაფად—2,846 მან. 65 კაპ., ქსოვილებად—3,056 მან. 90 კაპ. და ქონებად 15,963 მან. 34 კაპ.. სულ 52,478 მან. 10 კაპ.. 1899 წლის განმავლობაში ამხანაგობას უნახავს შემდეგი მოგება-წაგება: 1898 წლიდან გადმოვიდა მოგება—4,190 მან. 97 კ.; 1899 წლის განმავლობაში შემოვიდა: პარკისაგან—120,330 მან. 93 კაპ., თესლისაგან—23,700 მან. 40 კაპ., ქსოვილისაგან—5,486 მან., 07 კ., ქსოვილის არის 3,056 მან., 90 კ., სულ—8,542 მან. 97 კაპ., ძაფისაგან—2.711 მ. 35 კაპ., ძაფი არის 2,846 მან. 65 კაპ., სულ—5,558 მან., სარგებელი ფულისა—225 მან. 50 კაპ., სხვა-და-სხვა შემოსავალი (პაის ბლანკებისა, მარკისა და სხვათა)—179 მან. 89 კ., სულ მთელი ჯამი წლის შემოსავლისა მოგებიანად—162,728 მან. 66 კაპ.. ამავე დროს გავიდა: პარკის ყიდვაში 103,663 მან. 27 კაპ., ძველი პარკი იყო დარჩენილი—67 მან. 75 კაპ., სულ 103,731 მან. 02 კაპ., თესლში გავიდა—21,586 მან. 83 კაპ., ქსოვილში—5,347 მან. 25 კაპ., ქსოვილი იყო 3,739 მან. 92 კ., სულ იყო 9,087 მან. 17 კაპ.. ძაფში—4,590 მან. 44 კაპ., ძაფი იყო—787 მ. 94 კაპ., სულ 5,378 მან. 38 კ.. გაიწერა მოგებიდან 1898 წლისა, თანახმად საზოგადო კრების დადგენილებისა: სათადარიგო თანხად 419 მან. ძირის თანხად 419 მან.; დივიდენტად 2,403 მან. 05 კაპ., გასანადღებლად ქონებისა 770 მან. სარევიზიო კომისიას მიეცა 129 მ. 09 კაპ.. ერთს ღარიბ ამხანაგს 50 მან. საანგარიშო წლის მოგებიდან მიეცა—მართველს 1,200 მან., კასირს, მდივანს, სარევიზიო კომისიას და სხვა მოსამსახურეებს 1,615 მან., ფოსტა-ტელეგრაფის ხარჯები 623 მან. 19 კაპ. კანცელარიის, საკანტორო წიგნებისა, განცხადებების, ბლანკების, ჟურნალ-გაზეთების გათბობა-განათების, ბჟოლის (თუთის) ნერგის და სხვა. და სხვა 754 მან. 58 კ. სარგებელი სესხისა 5,972 მან. 67 კაპ. სავაჭრო მოგებათა გადასახადი 524 მან. 68 კაპ. სულ—154,664 მან. 49 კ. წმინდა მოგება ამხანაგობისა—8,064 მან. 17 კაპ. სულ—162,798 მან. 66 კაპ., როგორც ზემო ნახსენებ ანგარიშიდან სჩანს მთელი წლის ოპერაცია შეადგენდა ქონებით თუ ფულით 310,000 მანეთს, რომლისგანაც ყველა ხარჯების დაფარვის შემდეგ წმინდა მოგება დარჩენია ამხანაგობას 8,064 მან. და 17 კ. სარევიზიო კომისიის აზრით ამხანაგობას საფეიქრო დიდს ზარალს აძლევს და ურჩევს საზოგადო კრებას გააუქმოს მან იგი, მაგრამ ამ აზრს წინ აღუდგენ იოსებ ქუთათელაძე, ნესტორ წერეთელი და სხვები, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ამხანაგობის სახელს საფეიქროს წარმოება შეადგენს, რადგანაც იქ ქსოვის საქმეს სწავლობს ყველა მსურველი ქალი და ვაჟი. კრებამ დაადგინა დასტოვოს საფეიქრო ისევ ძველი გეგმით. ბ-ნმა იოსებ ქუთათელაძემ კიდევ აღძრა ორი კითხვა შესახებ იაფ-ფასიან სესხის მოპოვებისა და ამხანაგობის წარმოების ზოგიერთ წეს-რიგის შეცვლის შესახებ. ბ. ქუთათელაძე ურჩევდა კრებას, რომ ამხანაგობისათვის უფრო მეტი სასარგებლო იქნება ტფილისის სამეურნეო ბანიდან გამოიტანოს სესხი, ვიდრე კიევის სამრეწველო ბანკის ბათომის განყოფილებისაგან, რომელსაც ამხანაგობა 22% აძლევს და რამოდენიმე თვის განმავლობაში 6000 მანეთამდე უჯდება 73,616 მან. და 99 კაპ. დასასრულ კრებამ დაადგინა გადაიდოს წმინდა მოგებიდან 800 მან. სათადარიგო თანხისათვის, 800 მან. ძირის თანხად. 12% (1 მან. 20 კ.) დარიგდეს დივიდენდათ, 15% გადიდვას ქონების გასანაღდებლად.

და სხვა და სხვა. მმართველმა მოითხოვა ჯამაგირის მომატება როგორც სხვებისათვის, ის მისთვის და კრებამ დაადგინა მიეცეს მმართველს 1,500 მან. წელიწადში 1,200 მან. მაგივრად; მდივანს 1000 მან. მოლარეს, ბუჰგალტერს და პარკის მხარჩველს ხუთას-ხუთასი მანეთი წელიწადში. ზოგიერთ კითხვების გადაწყვეტა კრებამ გადადვა საგანგებო კრებისთვის, როცა უნდა მოხდეს ამ წელიწადს, რომელიც დამტკიცებული წესდება მოუვა ამხანაგობას.

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**29 მაისი**

**პეტერბურგი.** 28 მაისს მისი უდიდებულესობა დაესწრო ცარსკოე სელოში გამართულს იზმაილოვის პოლკის პარადს.

**ასტრახანი.** კასპის ზღვაზე და კრასნოვოდის სრუტეში სამი დღის განმავლობაში საშინელი ღელვა იყო. დაიღუპა ბევრი ნავი; ჯერჯერობით 10 მკვდარი კაცი იპოვნეს.

**ტიანცზინი.** აქ მოვიდნენ გერმანიის კრეისერების ჯარის კაცნი. ტაკუში მოვიდა 50 ინგლისელი და 30 რუსი ჯარის კაცი. პეკინიდან მოსულ ცნობებიდან სჩანს, რომ იქ იეტად საშიში მდგომარეობაა; საჭიროა დაუყოვნებლივ ალიერინოს დახმარება ევროპიელთ. გენერალ ნიჩს ებრძანა დაიცვას რკინის გზა და, თუ შეიძლება, განფანტოს „დიდი მუშტის“ რაზმები ძალა დაუტანებლად. ნიჩს საყვედური გამოეცხადა მთავრობისაგან მეამბოხეთა დახვცის გამო. ჩჟილის მმართველმა მიჰმართა თხოვნით დედოფალს —ნება მიეცეს უცხოელთ ისარგებლონ რკინის გზებით, წინააღმდეგ შემთხვევაში უწესოება და აჯანყება მეტად გაძლიერდებაო. „დიდი მუშტის“ პარტიის მოძრაობა იზრდება და მეტად ვრცელდება. რამდენიმე ათასი მეამბოხე იანცუნისაკენ მიდის, რათა გარს შემოერტყას გენერალ ნიჩს. გენერალის ჯარის ნაწილი უკვე შეებრძოლა მეამბოხეთ მდ. იანცუნის იქეთა ნაპირს. მაკისკუდან იტყობინებიან, რომ ლოფისაკენ მიმავალი რკინის გზა დანგრეულია 33 მილის მანძილზე. პარასკევს აქ მოვიდა 111 ფრანგი მატროსი ერთი საზღვაო ზარბაზნით.

**პარიზი.** იტყობინებიან, რომ უმთავრესის შტაბის უფროსი დელონი სამსახურიდან გამოვიდაო, რადგანაც მთავრობამ გამოცვალა რამდენიმე მოხელე შტაბში.

**პოლტავა.** კიევის სასამართლო პალატის განყოფილებამ გაამართლა სკიტსკები.

**პარიზი.** საფრანგეთის ელჩი პეკინში იტყობინება დეპეშით, რომ პეკინისა და ტიანცზინის მიდამოებში ჯერ კიდევ საშიში მდგომარეობაა. ჩინეთის მთავრობა არ იღებს არავითარ ზომებს მეამბოხეთა წინააღმდეგ და ამიტომ უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენელნი თანახმად მოქმედებენ. ისპანიის ელჩი დაპინავდა საფრანგეთის მისსიაში, რომელსაც იცავს საფრანგეთის ჯარის რაზმი.

**ტიანცზინი.** პეკინს წაეიდა რკინის გზით 1500 ევროპიელი ჯარის კაცი.

**კაპშტადტი.** მკვიდრთა სიტყვით, ბურების სამმა რაზმმა, რომელნიც მონიგსპრუიტთან სდგანან, დაანგრია რკინის გზის ლიანდაგი ამერიკა-სტეშიონისა და სოლდევალის შუა.

**ლონდონი.** ბულლერი იტყობინება, რომ მტერმა დასტოვა გამაგრებული პოზიცია და დაიწია 26 მილი უკან ჩრდილოეთ-დასავლეთისაკენ. ინგლისელთ 2 ჰყავთ მოკლული და 11 დაჭრილი.

**გონკონგი.** გონკონგის პოლკის 250 ჯარის-კაცი და 200 მსროლელი იგზავნებიან ჩრდილოეთისაკენ. მათ გაგზავნას კავშირი აქვს „დიდი მუშტის“ პარტიის აღელვებასთან.

**ლიხტენბურგი.** გენერალ გენტერის ჯარის მოწინავე რაზმმა დაიპყრო ვანტერსდორპი.

დრ. რედ. **ალ. ჯუღელია**

## გამოსადევი ცნობანი

**ნიხრი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ხორცი ძროხისა | . 1 გ. | 10 კ. | |
| სუკი . . . . . | » | —15 კ. | |
| » ცხვრისა . . . | » | —$8^1/_2$ კ. | |
| » ღორისა. . . | 1 | — 8 კ. | |
| » კამეჩისა | » » » | — 8 კ. | |
| » ღორის ბარკალი სალორეთი . | 1 » | —10 კ. | |

(ძროხისა და ცხვრის ხორცს იისფერი ბეჭედი აძევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).

| | | | |
|---|---|---|---|
| პური ფურნისა | I ხარ. | 1 გ. | 5 კ. |
| » » | II | » » | $3^1/_2$ » |
| » » | III | » » | 3 » |
| იგივე თონისა | I | » » | 5 » |
| » » | II | » » | 4 » |
| » » | III | » » | $3^1/_2$ » |
| ლავაში ჭკ. მამ. | I | » » | 6 » |
| » » | II | » » | 4 » |

### ტფილისის ბაზრები:

გაიყიდა მეიდნებზე: კოგზალზე,

| ხორბალი საუკ. | ფუთი. | მ. | კ. | მ. | კ., |
|---|---|---|---|---|---|
| | 1 | 1 | 30 | 1 | 20 |
| ხორ. წითელი. . . | 1 | 1 | 15 | — | |
| ქერი . . . . . | 1 | 1 | 1 | — | 5— |
| სიმინდი . . . . | 1 | — | 80 | — | — |
| ფქვილი სოფლისა. | 1 | 1 | 20 | — | — |
| » უფრო მდარე. | 1 | 1 | 10 | — | — |
| კომბოსტო. . . . | 1 | — | 60 | — | — |
| კარტოფილი. . . . | 1 | — | 60 | — | — |
| ხახვი . . . . . | 1 | — | 50 | — | — |
| თივა . . . . . | 1 | — | 30 | — | — |
| ბზე. . . . . . . | 1 | — | 28 | — | — |

შუშა რცხილისა 1 სრული საყ. საწყობებში 38 მ., შუშა ნარევი 36 მ. ცხვარი თუშისა 3 მ. 50 კ.-დან 4-მდე, ცხვარი თათრული 3 მ. კაპეიკიდან 4 მ. 60 კ.-მდე, ძროხა და ხარი აქაური საკლავი 22 მ.-დან 45 მ.-მდე, ხარი შესაბმელი, 40 მ. კამეჩი 60 მ. კამეჩი საკლავი 26 მ.-დამ 34 მ.

### რუსეთის ბაზრები:

ფქვილი როსტოვში.

| ხარისხი. | | ხარისხი. | |
|---|---|---|---|
| № 0—9 მ. | 25 კ. | № 4—7 » | 25 » |
| № 1—8 » | 50 » | № 5—7 » | — » |
| № 2—8 » | — » | № 6—6 » | 75 » |
| № 3—7 » | 50 » | № 7—6 » | 25 » |

სიმინდი (ნოვოროსსიაში) 1 ფ. 54 კ. 41 კ. ქერი როსტოვში 66 კ. 62 კ.-მდე ნოვოროსსიაში 68 კ. 69 კაპიკამდე.

მოტანა ტფილისამდე 1 ფ. 87 კ.
შაქარი იქვე ფუთი 5 მან. 70 კ.
„ფშხვნილი „ 4 „ 80 „

მატყლი ისპანიური, თეთრი ფ. 10 მ.—11 მ. 85 კ., მატყლი 10%. შავ-ნარევი — ადგილობრივი—3 მ. 50 კ.—4 მ. 10 კ., გარეცხილი 8 მ. 37 კ. ისპანიის ჯიშის ცხვრის ტყავი თითო 2 მ. 60 კ.-მდე.

### საავადმყოფოები

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო,** მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში —12 მ. თვ. ცალკე ოთახში—60 მ. თვ.

**ქალაქის სამკურნალო.** მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ. ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხნოვი.

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი: ავლაბრისა,** კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

**კუკიისა,** ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

**ხარფუხისა,** ვორონცოვის ქუჩა, სახლი იედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

**თვალების სამკურნალო,** ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

**ქალაქის საავადმყოფო სულით-ავადმყოფთათვის.** უფასო—იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენისა და გაუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი — ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მექქვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

### მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა.

**სწრაფი მატარებელი № 1** ტფილისიდან ბათუმში გადის დილის 11 ს. 19 წ.; ბათუმში ჩადის საღამოს 9 ს. 41 წ.

**სწრაფი მატარებელი № 2** ბათუმიდან ტფილისში გამოდის 11 ს. 18 წუთ. ღამ., ტფილისში მოდის დილის 9 ს. 30 წ.

**საფოსტო მატარებელი № 3** ბაქოდან ტფილისში გამოდის ღამის 11 ს. 29 წ., ტფილისში მოდის საღამოს 5 ს. 34 წ.; ტფილისიდან ბათუმში გადის საღამ. 6 ს. 34 წუთ., ბათუმში მიდის დილის 7 ს. 14 წ.

**მატარებელი № 4** ბათუმიდან ტფილისში გამოდის 7 საათ. 59 წ. საღ., ტფილისში მოდის 8 ს. 42 წ. დილით.; თბილისიდან ბაქოში გადის დილის 10 ს. 05 წ., ბაქოში მიდის ღამის 5 ს. 16 წ.

**საფოსტო მატარებელი № 74/75** ტფილისიდან ყარსში გადის საღამოს 9 ს., ყარსში ჩადის 12 ს. 56 წ. დღით.

**საფოსტო მატარებელი № 76/77** ყარსიდან ტფილისში გამოდის ნაშუადღ. 3 ს. 29 წ., ტფილისში მოდის დილის 7 ს. 15 წ.

**სახალხო მატარებელი № 5** ბაქოდან ტფილისში გამოდის ნაშუად. 4 ს. 01 წ. ტფილისში მოდის 8 ს. 53 წ. დილ.; ტფილისიდან ბათუმში გადის დილის 9 ს. 32 წ., ბათუმში ჩადის ღამის 9 ს. 01 წ.

**სახალხო მატარებელი № 6** ბათუმიდგან ტფილისში გამოდის დილ. 7 ს. 50 წ.; ტფილისში მოდის საღამოს 7 ს. 15 წ.; ტფილისიდან ბაქოში გადის საღამ. 7 ს. 45 წ., ბაქოში ჩადის შუაღ. 12 ს. 10 წ.

**მატარებელი № 7** ტფილისიდან ბორჯომში გადის დღისით 1 ს. 45 წ., ბორჯომში მიდის 6 ს. 50 წ. საღ.

მატარებელი № 8 ბორჯომიდან ტფილისში გამოდის 12 ს. 30 წ. ღამ., ტფილისში მოდის დილის 6 ს. 20 წ.

სამტრედიიდან ფოთში სამი სახალხო მატარებელი გადის დღეში: პირველი—ღამის 4 ს. 10 წ., მეორე—დღის 11 ს. 20 წ., მესამე—საღამოს 7 საათ. 26 წ., ფოთში მოდის—პირველი 6 საათ. 19 წ. დილით, მეორე—1 ს. 29 წ. დღ. და მესამე—საღ. 9 ს. 42 წ.

ფოთიდან სამტრედიაში გადის ორი მატარებელი: პირველი—ღამის 12 ს. 52 წ., მეორე—8 ს. 49 წ. საღ; სამტრედიაში მიდის პირველი 3 ს. 20 წ. ღამის, მეორე—11 ს. 04 წ. საღ.

სახალხო მატარებელი № 33 რიონიდან ქუთაისს გადის დილის 9 ს.; ქუთაისში მიდის 9 ს. 25 წ.

საავგარაკო მატარებელი № 15 ტფილისიდან მცხეთას გადის დილის 7 ს. 19 წ., მცხეთაში მიდის 8 ს.

საავგარაკო მატარებელი № 16 მცხეთიდან ტფილისში გამოდის საღ. 9 ს., ტფილისში მოდის საღ. 9 ს. 38 წ.

# განცხადებანი

## ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს,

რომ ამა წლის 5 ივნისს, შუადღის 12 საათზე, მის თანადასწრებით დანიშნულია ვაჭრობა, რომლით გაიცემა იჯარით შემოსავალი ქალაქის სასწორისა, რომელიც იმყოფება ქალაქის მე-9 ნაწილში ნიკოლოზის ქუჩაზე.

ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, შეუძლიან განიხილოს პირობები გამგეობის მე-4 განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე. ნ. 3—1

## მარგანეცის მწარმოებელთა კრების საბჭო

ამით აცხადებს იმ პირთა საყურადღებოდ, რომლებმაც განცხადება შემოიტანეს იმის შესახებ, რომ მათ დაეთმოს სადგურ ჭიათურაზე პლატფორმები მარგანეცის საწყობად, რომ საწყობებისა და ვაგონების განაწილების შესახებ არსებულ კანონების მე-4 მუხლის ძალით, რომელიც შემოღებულ იქმნა ამიერ კავკასიის რკინის გზების უფროსის ცირკულიარით 18 მარტს 1190 წელს, ხსენებულ პირებმა უნდა წარმოადგინონ კავკასიის სამთო მმართველობის მოწმობანი იმის შესახებ, რომ მათ ნება აქვთ მადნების შემუშავებისა იმის ჩვენებით, თუ რამდენი აქვს მადნებზე მარგანეცი (უნდა ჰქონდეს არა ნაკლებ 30.000 ფუთისა) ან და უნდა წარმოადგინონ სამრეწველო მოწმობა 1-ლის სარისხისა. ეს მოწმობანი უნდა წარუდგინონ მარგანეცის მწარმოებელთა კრების საბჭოს. ან ვაგონებისა და პლატფორმების გამანაწილებელ კომიტეტის თამჯდომარეს **არაუგვიანეს 15 ის ივნისის** 1900 წლისა; ამასთანავე საბჭო აცხადებს, რომ იმ პირთა განცხადებანი, ვინც არ წარმოადგენს ამ-გვარ მოწმობებს, სრულიადაც არ იქნებიან განხილულნი. (ნ. 3—2)

## ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს,

რომ მის თანადასწრებით 1-ლ ივნისს, შუადღის 12 საათზე, დანიშნულია ვაჭრობა კახეთისა და ლაზარევის ქუჩებზე ქვა-ფენილის გასწორებისათვის 1100 ოთხ-კუთხი საჟენის მანძილზე 2750 მანათისა.

ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, შეუძლიან განიხილოს დაწვრილებითი პირობები გამგეობის მე-4 განყოფილებაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საითიდან 3-მდე. (ნ. 3—2)

---

წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის

# გამგეობისაგან.

წერილებით, თუ სიტყვით მრავალჯერ გამოცხადებულის საზოგადოების სურვილის თანხმად ამხანაგობის გამგეობამ მოსახერხებლად სცნო, რამდენადაც კი შეიძლება, ფასი დააკლოს მის მიერ გამოცემულ წიგნებს.

**წიგნები გაიყიდება შემდეგ ფასად:**

| | მან. კაპ. |
|---|---|
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი ოთხი ტომი, თითო ტომი ცალკე | 1— » |
| თხზ. ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი | «—50 |
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა ლეგენდა-პოემა ბაჩანასი | «—10 |
| ბნელი, მოთხრობა ნ. მელანიასი (პოკვლონიმი) | «—20 |
| თხზულებანი ი. ჭავჭავაძისა, ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი: | |
| I ტომი | «—70 |
| იგივე II ტომი | «—60 |
| იგივე III ტომი | «—60 |
| იგივე IV ტომი (ორ წიგნად) | «—80 |
| სოფლის კუნწული დ. მაჩხანელისა | «—10 |
| თხზულებანი აკაკისა I ტომი | «—60 |
| იგივე II ტომი | «—60 |
| თხზულებანი რ. ერისთავისა I ტომი | «—60 |
| სიბრძნე-სიცრუე საბა-ორბელიანისა | «—40 |
| საქართველო და მისი წარსული დრო პოტოსი | «—20 |
| აივენგო ვალტერ სკოტისა | «—50 |
| აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში | «—15 |
| სამზარეულო ქართულის და ევროპიულის საჭმელებისა | 1—20 |
| ღვინის დაყენება პროფესორის გ. პეტრიაშვილისა | 1—50 |
| რძე მისივე | 1—50 |
| სიბრძე ბალავარისა | «—30 |
| ცეცხლითა და მახვილითა | «—80 |
| დასტურ-ლამა | «—10 |

ვინც გაიწერს წიგნებს, ფოსტის ხარჯი დაედება წონის მიხედვით გაგზავნის დროს (наложеннымъ платежомъ) წიგნების ფასი 25% წინადვე უნდა იქმნას გაგზავნილი.

წიგნები ამხანაგობის კიოსკში იყიდება, ქ. ტფილისში, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ ფული უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.

---

ქართველთა ამხანაგობის, წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების და კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში იყიდება

## გლეხი-კაცის ისტორია,

ერკმან-შატრიანისა:

**სრული ისტორია საფრანგეთის დიდი რევოლიუციისა**

| | | |
|---|---|---|
| ნაწილი I | საერო კრება | 60 კ. |
| | იგივე კარგ ქაღალდზე | 75 „ |
| ნაწილი II | სამშობლოს განსაცდელი | 60 „ |
| | იგივე კარგ ქაღალდზე | 75 „ |
| ნაწილი III | წელიწადი პირველი რესპუბლიკისა | 1 მ. 20 „ |
| და ნაწილი IV | მამულიშვილი ბონაპარტი | |
| | იგივე კარგ ქაღალდზე | 1 მ. 50 „ |
| ბრწყალები, დრამა 3 მოქმ. პოლ-ერვიესი | | 30 „ |
| იუდითი, ტრაგედია 5 მოქმ. ჯიაკომეტისა | | 30 „ |

**პირველი ნაწილი ცალკე აღარ იყიდება**

გამომც. გ. გუნია.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 30 Мая 1900 г.

სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—სა. ვანქის დიდი ქუჩა, № 27.